საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 256

2012 წ. "14" 08

ქ. თბილისი

შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400030051) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	საბაჟო წარმომადგენელი	III	საბაჟო წარმომადგენლის(სასქანლო ოპერაციების სპეციალისტის) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 14 აგვისტოს №19 სხდომის ოქმის მე-16 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი